ჰადისებს ვსწავლობ

# განაწილება ვიცით



გამცემი ხელი, მიმღებზე მაღლა დგას! (ჰადისი შერიფი)

muslim Georgia international charity foundation

გამომცემლობა თიმაში ბავშვები



ჰადისებს ვსწავლობ

# განაწილება ვიცით




ავტორი:
ნურ ქუთლუ
(ბავშვთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი

გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი

მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი





გამომცემლობა
თიმაში ბავშვები





# ახლა ზეინეფისა და თარიქის გაცნობის დროა!

ზეინეფი ბაღშია, თარიქი კი პირველ კლასშია. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ. მათი მშობლები ქაღალდზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ. ჰადისები, ჩვენი შუამავლის ნაბრძანები ლამაზი და აღმზრდელობითი შინაარსის სიტყვებია. ზეინეფი და თარიქი ყოველი კვირის განმავლობაში თითო ჰადისს სწავლობენ. თავდაპირველად "სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ (ალლაჰის სალათი და სალამი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს ესალმებიან, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ. ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან და შემდეგ კი ცდილობენ ჰადისის შესაბამისად მოიქცნენ. ასეთი ქმედებით სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.











შემოდგომა იყო. ხეებს ფოთლები სცვიოდა. ზეინეფს, კლასში ხელოვნების დავალების შესასრულებლად ფოთლები ჰქონდა შესაგროვებელი. თარიქთან ერთად ეზოში გავიდა. ზეინეფმა აღტაცებით წამოიძახა:

– რა ლამაზია! ფერად ფურცლებს ჰგავს. ყვითელი, ყავისფერი, წითელი...



თარიქი ფოთლებს აკვირდებოდა:

– სხვადასხვა ფორმისაა... ზოგი მრგვალია, ზოგი ცრემლს ჰგავს... ზოგი სწორი, ზოგს კი ხაოიანი კუთხეები აქვს...







სახლში შესვლისას თარიქმა თქვა:

–მოდი ამ კვირის ჰადისი გავარკვიოთ.

მისაღებ ოთახში ერთად წავიდნენ.

იქ ქალბატონი მელექი წიგნს





კითხულობდა. ბავშვების მოსვლა

ვერ შეამჩნია.

და-ძმა დედას გაეხუმრნენ.

დედას სავარძლის უკან ჩუმად

გავიდნენ. ზეინეფმა დედას

თვალებზე ხელები ააფარა და

ჰკითხა:

–აბა თუ გამოიცნობ,

მე ვინ ვარ?

ამ დროს თარიქმა ჩუმად ჰადისის ყუთი

აიღო.









ქალბატონი მელექი ზეინეფის ხელებს შეეხო და უპასუხა:

**– ეს რბილი და პატარა ხელები, მსოფლიოში ყველაზე ტკბილი, ზეინეფის უნდა იყოს.**



–ოჰ ოჰ! წინ კიდევ ერთი ტკბილი ვინმეა –თქვა თარიქმა.

ამაზე ერთად გაიცინეს.

შემდეგ თარიქმა დედას ჰადისების ყუთი მიაწოდა და უთხრა:

–ყუთიდან ერთ ჰადისს ამოიღებ?







ქალბატონმა მელექმა ერთი ჰადისი ამოიღო. ზეინეფმა მას თვალები გაახელინა.

ქაღალდზე ასეთი ჰადისი ეწერა:

"გამცემი ხელი, მიმღებზე მაღლა დგას!"

დედამ და-ძმას ჰადისის მნიშვნელობა აუხსნა:

-ჩვენი შუამავალი ხელგაშლილი ადამიანი იყო.

ჩვენ, ჩვენი კუთვნილი ნივთების იმათზე მიცემას გვირჩევდა, რომლებსაც ეს ძალიან სჭირდებოდათ. თქვენც შეგიძლიათ თქვენი სათამაშოები, წიგნები, ტანსაცმელი და საჭმელი სხვებს გაუნაწილოთ.











მეორე დღეს ზეინეფი და თარიქი ბაღში და სკოლაში წავიდნენ. გაკვეთილის დაწყებისას ზეინეფის მასწავლებელმა თქვა:

–ბავშვებო, შეგროვებული ფოთლები ამოიღეთ, ხელოვნების გაკვეთილს დავიწყებთ!

ბავშვები ჩანთებიდან ფოთლებს იღებდნენ, მხოლოდ ნილაი იცდიდა, თანაც ძალიან მოწყენილი ჩანდა.





muslimgeorgia
muslim international charity foundation







ზინეფმა ჰკითხა:

–რატომ ხარ მოწყენილი?

ნილაიმ თავის აუღებლად უპასუხა:



–ფოთლების შეგროვება დამავიწყდა.

ზინეფს კვირის ჰადისი გაახსენდა.

–ჩემები შეგვიძლია გავიყოთ – უთხრა და მეგობარს თავისი ფოთლები გაუყო.

მასწავლებელი ზინაფთან მოვიდა და უთხრა:

–ყოჩაღ ზინეფ! გაყოფა გმირული ქცევაა.





თარიქის კლასში კი
მასწავლებელი დაფაზე რამდენიმე
ფოტოს აჩვენებდა.



**–ბავშვებო, ძალიან მნიშვნელოვან თემაზე მინდა გელაპარაკოთ**



– თქვა მასწავლებელმა.

თარიქი და მისი მეგობრები ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ ფოტოებს.

მასწავლებელმა გააგრძელა:

–ეს ფოტოები ერთ-ერთი შორეული სკოლიდან გამოგზავნეს. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ იმ სკოლის მეგობარი სკოლა გავმხდარიყავით. იქაურ ბავშვებს ტანსაცმელი, საკანცელარიო ნივთები და რაც მთავარია, წიგნები ესაჭიროებათ.





თარიქმა იკითხა:

– როგორ შეიძლება სკოლები მეგობრები იყვნენ?

–ორი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთს მიმოწერით ეცნობიან. დროით განმავლობაში ერთმანეთს უფრო ახლოს გაიცნობენ და ერთმანეთი უყვარდებათ. ერთმანეთს საკუთარ ნივთებს სჩუქნიან.



ამ დროს შესვენების ზარმა დარეკა. თარიქი ზეინეფის კლასში გაიქცა. ზეინეფმა ესაუბრა თარიქს, თუ როგორ გაუყო ფოთლები ნაილს. თარიქი კი მასწავლებლის მონაყოლზე ესაუბრა ზეინეფს. ერთად მეგობარი სკოლისთვის წიგნების გაგზავნა გადაწყვიტეს.









თარიქი სახლში მისვლისას წიგნების თაროსთან მივიდა. აღარ წაკითხული წიგნებიდან შეარჩია ისინი, რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონდა. საყვარელ წიგნებთან განშორება ძნელი იყო, მაგრამ უნდოდა ჩვენი შუამავალივით ხელგაშლილი ყოფილიყო.

ზეინეფმაც რამდენიმე წიგნი მოიტანა და თქვა:

–ეს მეგობარი სკოლისთვის შევარჩიე.

მათ შორის მათი საყვარელი წიგნი "ყვითელი მანქანის მუცლის ცვივილი"–ც იყო. თარიქს ძალიან გაუკვირდა.



**–შენ მართლაც ხელგაშლილი ყოფილხარ. ყველაზე საყვარელ წიგნსაც კი იმეცებ სხვებისთვის.**









ბავშვებთან მშობლები მივიდნენ და უთხრეს:

–თქვენთვის სიურპრიზი გვაქვს. მიდით მოემზადეთ.

და–ძმა სიხარულით გაჰყვნენ მშობლებს.

წიგნის მაღაზიასთან მივიდნენ. ბავშვებს ძალიან გაუხარდათ. მეგობარი სკოლისთვის ლამაზი წიგნები შეარჩიეს. წიგნების გამყიდველმა რომ გაიგო მეგობარი სკოლისთვის ყიდულობდნენ,

**ერთი წიგნი მანაც აჩუქა.**







ზეინეფმა და თარიქმა სახლში დაბრუნებისას ორი მუყაოს ყუთი წიგნებით გაავსეს.
თარიქმა მეგობარი სკოლის მოსწავლეებისთვის გასაგზავნ ყოთზე მიაწერა:

**"თქვენ, ჩვენთვის ყველაზე საყვარელ წიგნებს გიგზავნით!"**

მეორე დღეს მამის დახმარებით მუყაოს ყუთები სკოლაში წაიღეს.
თარიქის კლასის მეგობრებსაც ბევრი რამე მოემზადებინათ. საკანცელარიო ნივთები, ტანსაცმელი, სათამაშოები... ეს ყველაფერი ფოსტით მეგობარ სკოლას გაუგზავნეს.







დიდი ხნის გასვლის შემდეგ მეგობარი სკოლიდან წერილი მოვიდა. თარიძის მასწავლებელმა წერილი ბავშვებს წაუკითხა. ისინი მასწავლებელს აღტაცებით უსმენდნენ.

## მეგობარი სკოლის მოსწავლეები დახმარებისთვის მადლობას იხდიდნენ.



წერილთან ერთად ფოტოც გამოეგზავნათ. ბავშვები გაგზავნილ ნივთებთან ერთად გადაღებულ ფოტოში ძალიან ბედნიერები ჩანდნენ. მასწავლებელმა ეს ფოტო გაამრავლა. კლასის ყველა მოსწავლის ოჯახს გაგზავნა.







თარიქი ძალიან ბედნიერი დაბრუნდა სახლში. მასწავლებლის მიცემული ფოტო ოჯახის წევრებს აჩვენა.

იმ დღეს ზეინეფიც ძალიან აღელვებული დაბრუნდა ბაღიდან. თავზე გვირგვინი ეკეთა. რომელზეც



## "ჩვენი გამზიარებელი გმირი"



ეწერა. ზეინეფი ჩვენს შუამავალივით ხელგაშლილი რომ ყოფილიყო, მეორე დღეს დედის გამომცხვარი ცორცი წაუღო მეგობრებს... შემდეგ კი – სათამაშოები.

მასწავლებელსა და მის მეგობრებს იმდენად მოეწონათ ზეინეფის საქციელი, რომ მას ჯილდოდ გვირგვინი დაუმზადეს.




გმირი






გახარებულმა მშობლებმა ზეინეფს
უთხრეს:
–შენ ნამდვილი გმირი ხარ!
ზეინეფმა თარიქს შეხედა და თქვა:

**–ჩვენ შორის კიდევ ერთი გმირია.**




შემდეგ თავისი გვირგვინი ძმას
დაადგა და ჩაეხუტა.
და–ძმამ გვირგვინი მაგიდაზე დადეს.
გვირგვინის დანახვისას ჩვენს
შუამავალს მადლობას უხდიდნენ.



muslimgeorgia



## მოდით მეგობრები პაზლი დავამზადოთ, რომელიც შეგვახსენებს, რომ უნდა გავუნაწილოთ სხვებს.

**რა დაგვჭირდება?**

- ნახატი ან ფოტო, რომელიც სხვებზე განაწილებას (გაზიარებას) აღწერს
- სქელი მუყაოს ქაღალდი
- ფანქარი
- წებო
- მაკრატელი



გაზეთში, ჟურნალში ან წიგნში ვიპოვოთ ნახატი ან ფოტო, რომელიც გაზიარებას აღწერს. ოჯახური ალბომიც შეგვიძლია გამოვიყენოთ. შერჩეული სურათი მუყაოს ქაღალდზე დავაწებოთ.



მასზე განსხვავებული ფორმები დავხატოთ და პაზლის ფორმამდე მივიყვანოთ. (მაგალითად პაზლის ნაწილების გამოყენება შეგვიძლია).



დახაზული ფორმები გამოვჭრათ.



ყოველ ჯერზე, როდესაც სხვას რამეს გავუზიარებთ, პაზლის ერთი ნაწილი სურათზე დავდოთ.